



ვარდიშვილი

ქათათსის ღ. ესტემანის სკელობის სკელაზოვი ღრამატული თეატრი



მცოდნე
სცენა





ცოდნა დაგაპე



დიდი

ფილმის რეჟისორი: გიორგი სიძერაძი
თეატრის მარჯანიშვილი



ქვეუანა, რომელსაც ჩვენი თაობა თავის ღროჲე გადმოგცემთ და ჩაგაბარებთ, მაღალგუმბათიან ტაძრად უნდა აქციოთ, რათა თქვენ შემდეგ მოსულმა თქვენმავე შთამომავალმა და გუთნისღედამ მოკრძალებით მოიხადოს ქუდი ამ ტაძრის წინაშე და მოწიწებით დარეკოს მის მაღალ სამრეკლოზე თქვენ მიერ ოფლითა და ტანჯვით ატანილი მომავლის ზარი.


ნოდარ დუმბაძე

სინდისი გარკვეულწილად ზნეობაა. ადამიანში სინდისი შეიძლება გაღვივდეს. მე ყურადღებით ვუკვირდები ადამიანებს, ვეძებ მათში სინათლეს, სიმართლეს, რაც შემდგომ ჩემი გმირების დვრიტად იქცევა. დარწმუნებული ვარ, ასეთი ადამიანების გარეშე კაცობრიობა აქამდე ვერ მოაღწევდა, ხოლო თუ მოაღწევდა, რამდენიმე „სოდომი და გომორი“ იქნებოდა საჭირო.

მოდიდებული წყალი არ შეიძლება აიმღვრეს. მაგრამ დრო გადის, ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება, წყალი იწმინდება და გამჭვირვალედ ჩნდება ის სუფთა ქვიშა, რომელზეც ხალხი ბრძნულად ამბობს: „წყალი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...“

და მართალი იყო დიდი პოეტი დავით გურამიშვილი, როცა ამბობდა: „ბედი მას ჰქვიან, ვინაც რომ არ მოკვდა, სულით ცხონდაო.“

ნორთი გუმბაძე



20 წლის შემდეგ

● 2007-2008 წლების სეზონის მიწურულს მესიშვილის თეატრი ისევ პრემიერისთვის ემზადება. ამ ერთი წლის მანძილზე, მცირე სცენზე განხორციელებული სამი წარმატებული სპექტაკლის შემდეგ, ეს უკვე მეოთხე პრემიერაა.

რაზე გაცემდა ამჯერად არჩევანი?

— 2008 წელი ბატონ ნოდარ დუმბაძის საიუბილეო წელია. ბუნებრივია, თეატრი გვერდს ვერ აუვლიდა ამხელა მნიშვნელობის მოვლენას და გადავწყვიტეთ არჩევანი გაგვეყოფინა მის ერთ-ერთ შესანიშნავ მოთხრობაზე „დიდრო“. მაგრამ მე და ინსცენირების ავტორი, ბატონი თორნიკე მარჯანიშვილი, მხოლოდ ამ ნანარმებით არ შემოვიდარგლეთ; ავიდეთ სცენები სხვადასხვა ნოველიდან, რომანიდან და შევკარით პიესა, რომლის ძირითადი ქარგა არის „დიდრო“. სპექტაკლსაც დავარქვით „დიდრო“.

● რატომ მაინც და მაინც „დიდრო“?

— გამომდინარე სათქმელიდან, ფორმიდან, იმ სიგრციდან, სადაც ეს სპექტაკლი უნდა დაიდგას, ჩავთვალეთ, რომ „დიდრო“ ყველაზე კარგად ემაურებოდა ჩვენს ჩანაფიქრს, იმ გადაწყვეტის, რომელიც ერთად გვქონდა თორნიკეს გაუწიდა იდეა ერთობლივად გამოვიდა ამ ფორმით შევხმიანებოდით ჩვენს სტუდენტობას, ჩვენი პედაგოგის სსოფლას. მითუმეტეს, რომ დუმბაძის 80 წლის იუბილეა. ბატონი მიშა გვეუბნებოდა: დუმბაძის გმირები, სცენები, საყველპურო ლექსიკა, ამბავი, რომელსაც გვთავაზობს ძალიან ყოფითად, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი პერსონაჟები მხატვრული ცოდვები, ადამიანთა ნაცოდვილარი, რომელსაც დიდრო თავის თავზე სწერს და მარტო ეზიდება. ამ დროს ეს არის ადამიანი, რომელიც უნდა წაიღიო, რომელიც უნდა წაიღიოს დიდრო. ამ გოდრით მას არა მარტო 141 კგ ჩაი მიაქვს, არამედ მასში თავმოყრილი ცოდვები, ადამიანთა ნაცოდვილარი, რომელსაც დიდრო თავის თავზე სწერს და მარტო ეზიდება. ამ დროს ეს არის ადამიანი, რომელიც თავისუფლად ელაპარაკება ხაზარულას, ჩიტებს, მამლებს... აი, ეს ფორმა ავირჩიეთ ჩვენ და ამ სახით ვთავაზობთ ⇨ მაყურებელს დიდროს,



შინ, როცა ჩვენ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონზე“ ვმუშაობდით. ამიტომ გადავწყვიტეთ ის ფორმა და ხერხი, რომელსაც ბატონი მიშა გვთავაზობდა ამჯერადაც გამოგვიყენებინა. ამ შემთხვევაში „დიდრო“ პასუხობდა ჩვენს მიერ დასმულ ყველა შეკითხვას. მთავარი გადაწყვეტაში, რომელზეც მე და თორნიკე შევთანმიდით, იყო ის, რომ სცენაზე უნდა გვქონდა ერთი დიდი გოდორი, რომელიც უნდა წაიღიოს დიდრო. ამ გოდრით მას არა მარტო 141 კგ ჩაი მიაქვს, არამედ მასში თავმოყრილი ცოდვები, ადამიანთა ნაცოდვილარი, რომელსაც დიდრო თავის თავზე სწერს და მარტო ეზიდება. ამ დროს ეს არის ადამიანი, რომელიც თავისუფლად ელაპარაკება ხაზარულას, ჩიტებს, მამლებს... აი, ეს ფორმა ავირჩიეთ ჩვენ და ამ სახით ვთავაზობთ ⇨ მაყურებელს დიდროს,



ც რომელსაც სპექტაკლში ზეიდად სვანაძე თამა- შობს, ბატონ ერემო სვა- ნაძის შვილი. ძალიან კარ- გი მსახიობი, ძალიან კარ- გი კაცი, დიდროსავით სუფთა ადამიანი.

• თქვენ სპექტაკლის ფორმა მკირე სცენის მასშტაბში გაჭვთ გააჩრებული. ეს სხვა სპეციფი-

თხით წარმოაჩინოთ და თქვე- ნეული თვალთხედით შესთავა- ზოთ მაყურებელს.

—რამდენიმე ადამიანი მყავს ცხოვრებაში, რომ- ლებიც არიან ჩემი აღმზრდელები. ვგულისხმობ ბაბუაჩემს, მამჩემს, დედა- ჩემს და ერთ-ერთი ასეთ ადამიანებს შორის არის

კი, ერთ-ერთი აფხაზი, სა- შინელ ლექსს ქართველებ- ზე ასე ამთავრებს:

„მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გნირავთ, რადგან რა ვუყო ნოდარ დუმბაძესო“. გული მწყდება, როცა მასზე როგორც ეთნიკურ, ერთ- ერთი კუთხის მწერალზე საუბრობენ. ხშირად მომ-

20 წლის შემდეგ

კა. როგორ მოარგეთ მის მოთხოვნებს თქვენი იღეური ჩა- ნაფიქრის გასაღები?

— ყველა სივრცე გადა- წყვეტას და მისთვის შე- საფერის ხერხებს ითხოვს. მცირე სცენაზე არ შეიძ- ლება ის, რისი გაკეთებაც შესაძლებელია დიდ სცე- ნაზე. მოცემული გარემოება თვითონ გკარნახობს ფორმას. ამიტომ ჩვენ დუმ- ბაძე ჩავიფიქრეთ სწორედ ამ სახით; აქ თამაშის ხერ- ხიც სულ სხვაა, სხვა მო- თხოვნაა, სხვა სირთულეები. მაყურებელი ფაქტიუ- რად სცენაზევე გიზის. რე- პეტიციებზე მსახიობებს ვე- უპნები, რომ აქ მცირედი ტყუილიც დაუშვებელია. სა- ერთოდ დუმბაძესთან ტყუ- ილი ყოვლად დაუშვებელია და არც მაყურებელი არ გაპატიებს, თუნდაც პა- ტარა სიყალბეს.

• ღუმბაძისეული პერსონაჟე- ბის ყოფითობა, ლექსები, მატ- ვრული სახეების გამორჩეულო- ბა მთლიანობაში მისივე განუ- მეორებელი კოლორიტულობის განმაპირობებელია. ეს ერთ-ერ- თი კონტექსტია, მაგრამ თქვენი პროფესია სწორედ იმითაა სა- ინტერესი, რომ საშუალებას გაძ- ლევთ მწერალი და ნაწარმოე- ბი თქვენთვის საგულისხმო კუ-



ნოდარ დუმბაძე. მე მის ესთეტიკაზე, მის ლიტერა- ტურაზე ვარ გაზრდილი. მაგრამ მიმართა, რომ ერში მისადმი უდიდესი სიყვა- რულის მოუწვდოვად, და არა მარტო საქართველოში, ის იმდენად ღრმად არ არის გააზრებული, რა ფილო- სოფიაც, რა სიღრმები და სიმბოლოებიც არის მის ყველა ნაწარმოებში.

ამას ნინათ, როცა „ბაზ- ბაზის სამოთხეზე“ ვმუშა- ობდი, მომიტანეს აფხაზი პოეტების ლექსები, რომ- ლებიც გამოირჩევიან სა- შინელი აგრესიულობით ქართველი ადამიანების და საქართველოს მიმართ. იქაც

სელია კამათი კოლეგებ- თან, პროფესიონალებთან, მწერლებთან, როცა უბრა- ლოდ, ანეკდოტის დონეზე, ზედაპირულად უყურებენ ამ მოაზროვნეს, უდიდეს ფი- ლოსოფონს, ძალიან დიდ მწერალს. ნებისმიერი მისი რომანი თუ ნოველა, არის შედევრი, გაჯერებული ღრმა სიმბოლიზმით და ფილოსოფიით. ნოდარ დუმ- ბაძე ჭეშმარიტად 21-ე სა- უკუნის ავტორია. როცა ცხოვრობდა და დადიოდა მისი თაობა, მისი წრე, მეგობრები, პირისპირ ვერ აღიქვამდნენ მის სიდია- დეს. გავა დრო, გავა ც ნლები და კიდევ უფრო



ც დააფასებენ მის მნიშვნელობას. ნოდარ დუმბაძე მეტრია ქართულ მწერლობაში. მოვა დრო და ჩვენი შეილების თაობა ცოტა სხვანაირად ნაიყითხავს მას და მისვდება, რამსელა მწერალი გვყავს მისი სახით.

● ნოდარ დუმბაძე უყვართ და მოელი საქროველო ეხმიანება მისი 80 წლის იუბილეს. საიუბილეო წიგნებიც გამოიკავთ არ არ არ ელოდებით განსაყუთრებულ სტუმრებს პრემიერაჩემი?

— აუცილებლად. ველოდებით მისი ოჯახის წევრებს, მწერლებს. გული მწყდება, რადგან პირველი წელია, როცა 14 ივლისს ვერ მივედი მის საფლავზე. ამ დღეს მე და ჩემი მეგობრები ავლინიშნავთ, როგორც ჩვენი ოჯახის წევრის, უახლოესი ადამიანის დაბადების დღეს. მართალია, ამჯერად თბილისში ჩასვლა ვრ მოვახერხე რადგან 14-დან 17 ივლისამდე ქუთაისს რუსთაველის და სოხუმის თეატრები სტუმრობდნენ გასტროლებით, მაგრამ აქ მაინც ავლინიშნე. ეს არ არის ჩემთვის პატარა მოვლენა, რადგან ნოდარ დუმბაძე არის ჩემი პედაგოგი, ჩემი იდეა-

ლი, ჩემი მსოფლმხედველობის და ქსოვტიკის ერთერთი ჩამომცალიბებელი ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს, დიდ პატივს ვცემ და რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, სიტყვებით მაინც ვერ გადმოვცემ, თუ რა და ვინ არის ჩემთვის.

● შემოქმედებითი ჯუფის შესახებ რას გვეტყვით. ვინ არა ამჯერად თქვენი თანმოაჩრები?

— უკვე გითხარით, რომ სპექტაკლი თორნიკე მარჯანიშვილთან ერთად ჩავიფიქრე. მუსიკალურად სპექტაკლს ბატონი გომარ სიხარულიძე აფირმებს. მისი და დუმბაძის მეგობრობაზე და ტემულა და ბევრიც არ თქმულა. მამისგან არაერთი საინტერესო ამბავი მაქს გაგონილი. სწორედ მოყოლილი და გადახდენილი ისტორიებით ყალიბდებოდა ჩემში ეს განსაკუთრებული სიყვარული. ამიტომ, როცა გავაცანი იდეა და შევთავაზე სპექტაკლზე მუშაობა, ბუნებრივია, ძალიან გაუხარდა. მხატვარი არის მამუკა ტყეშელაშვილი. მან ძალიან თბილი და კოლორიტული დეკორაცია მოიტანა, რომელიც შესაფერის ქმნის. მაგრამ მთავარი ამ დეკორაციაში არის მაინც გოდორი, რომელიც ბოლოს ცოდვებს იტევს და ამ ცოდვე-

ბის აწევამ დასცა სწორედ დიდრო. სპექტაკლში თერთმეტი მსახიობია დაკავებული. აქედან ერთი არაპროფესიონალი, ასაკით პატარა, სულხან მარჯანიშვილი, თორნიკე მარჯანიშვილის შვილი. დანარჩენი ათი მესხიშვილის თეატრის მსახიობები არიან.

● ანუ, ეს იქნება დუმბაძე, იუმირი, სიმბოლიკა და იდეის ორიგინალური გადაწყვეტა...

— კარგია თუ ასე იქნება, მაგრამ ეს არ იქნება დუმბაძე მთლად ჩემული გააზრებით. მე და თორნიკემ ამ სპექტაკლით ჩვენივე სტუდენტობა გავიხსენეთ. ერთად ვიმუშავთ, შეიძლება ითქვას, რომ ის ოცი წლის წინანდელი სერხები გამოვიყენეთ, როცა მე — ილიკო და თორნიკე — ილარიონი ბატონ მიშასთან და მეგობრებთან ერთად საკურსო სპექტაკლს ვაკეთებდით. ახალს, განსაკუთრებულს და ორიგინალურს, სერხების თვალსაზრისით, არ გთავაზობთ. ჩვენ ამ ფორმით პატივი მივაგეთ ჩვენი პედაგოგის სსოვნას. ამავე დროს, ეს იქნება, მაყურებელთან ერთად, ნოდარ დუმბაძის პიროვნების და შემოქმედების მიმართ ჩვენი სიყვარულის და პატივისცემის კიდევ ერთი დასტური და გამოხატულება.

რათი
მარტინიშვილი



ინსცენირების ავტორი - თორნიკე მარჯანიშვილი
დამდგმელი რეჟისორები - გიორგი სიხარულიძე,
თორნიკე მარჯანიშვილი

კომპოზიტორი - გოგარ სიხარულიძე
მსატეგარი - მამუკა ტყეშელაშვილი
რეჟისორის თანაშემწე - მაია კვიმსაძე



ნოდარ დუმბაძე ჩემს ცხოვრებაში ბავშვობაში შემოვიდა პატარა ლექსით მამალზე, თუმცა, მაშინ არც ვიცოდი, ვისი იუო ეს ლექსი და ვინ იუო ნოდარ დუმბაძე.

სკოლის დამთავრებისას უკვე წაკითხული მქონდა მისი სამი რომანი, — „მე, ბებია, იღიკო და იღარიონი“, „მე ვხედავ მზეს“ და „მზიანი დამე“. სწორედ „მზიანი ლამით“ დაიწყო ჩემი სცენასთან კავშირი, რადგან პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა 1979 წლის გაზაფხულზე ამ რომანის ერთ-ერთი თავის — „პარნასის“ დადგმა შევთავაზე სტუდენტურ დღეებზე დეკანატს



ლექსის ჩემს ცხოვოების

და როგორც ამბობენ, წარმატებითაც გავართვი თავი.

პირველი წარმატებით ფრთხებშესხვლმა, მეორე წელს უკვე სრულყოფილი სპექტაკლი — დუმბაძის „დიდრო“ დავღვი სტუდენტურ სცენაზე. სწორედ ეს წელი — 1980 წლის გაზაფხული შეიძლება ჩაითვალოს ჩემი, როგორც რეჟისორის, შემოქმედებითი გზის დასაწყისად. სხვათაშორის ამ ფაქტს, ისევე როგორც დანარჩენ ამბებს, კურიოზის გარეშე არ ჩაუვლია. პრემიერის წინა დღეს, დეკანზე გაგულისებულმა დიდროს როლის შემსრულებელმა სტუდენტმა უარი განაცხადა სპექტაკლში თამაშზე. „დიდროს“ მე ვდევმდი, ინსცენირება ჩემი იყო და როლი, რა თქმა უნდა, ზეპირად ვიცოდი. სასწრავოდ მომიწია ჩანაცვლება და ამ „სამსახიობი ფეიერვერკის“ შემდეგ, თითქმის მთელი წელი „დიდროს“ ზედმეტსახელით დავდიოდი ინსტიტუტში.

მომდევნო წლის სტუდენტურ დღეებზე დასადგმელი სპექტაკლის იდეაც ნოდარ დუმბაძის და ჩემი ძმის ნაკარნახევი გახლდათ — ახალი გამოქვეყნებული იუო „მარადისობის კანონი“. პირველად იგი „ცისკარში“ დაბეჭდა და მეც, სწორედ ამ უურნალში წავიკითხე დუმბაძის ეს ბრწყინვალე ნაწარმოები. განსაკუთრებით გამაოგნა და შეიძლება ითქვას, სულის სიღრმემდე შემძრა, მზის გარდაცვალბის ეპიზოდმა: „მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე იწვა და მძიმედ სუნთქვავდა....“

ჩემი სულიერი განცდები ქაღალდზე გადავიტანე. საკმაოდ ფილოსოფიური ზღაპარი გამოვიდა, რომელსაც „მზის სითბო“ დავარქვი და 1981 წელს სტუდენტურ დღეებზე, მთელი სერიოზულობით დაგდგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სცენაზე; მაგრამ ის, რისი მიღწევაც მინდოდა, არ გამოვიდა, რაღაც უკმარისობის გრძნობა დამრჩა, ამიტომ ცოტა მოგვიანებით, 1987 წელს, ქუთაისის უნივერსიტეტის, მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის, სცენაზე ვცადე გამეორება. ამჯერად სპექტაკლს მუსიკალური და იუმორისტული დატვირთვა მივეცი და შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა. ეს ჩემი პირველი მცდელობა იყო დამეწერა რამე და ისიც, ნოდარ დუმბაძის სახელს უკავშირდება.

სცენა ძალიან მიუვარდა და ამიტომ მასწავლებელთა სახლთან არსებულ მოზარდ-მაცურებელთა თეატრში აღმოვჩნდი, რომელსაც მაშინ მსახიობი ავთანდილ სახამბერიძე სელმძღვანელობდა. 1980 წლიდან გმონაწილეობდი სხვადასხვა წარმოდგენაში. 1981 წელს კი ბატონმა ავთომ „მე, ბებია, იღიკო და იღარიონი“ დადგა და მე მამონტა — თვალის ექიმის როლი მომცა. ჩემს სტუდენტურ შემოქმედებით კარიერას მუდამ თან სდევდა კურიოზები, მაგრამ ის, რაც ამ წარმოდგენის დროს მოხდა, უველა საზღვარს სცილდება. ერთ-ერთ სპექტაკლზე ბებიის როლის შემსრულებელი გოგონა ვერ მოვიდა და მე არც მეტი, არც ნაკლები, მისი ტანსაც-მელი, ბარიკი გადამაცვეს და რადგან ოლღას



ც და მამონტას როლები სხვადასხვა დროს იყო, სცენაზე „შემაგდეს“. მომიტევოს ბატონი ნოდარისა და ქალბატონი სესილიას სულმა ეს კადნიერება, რომელიც ჩემი არაპროფესიონალიზმით იყო განპირობებული. მაგრამ, მაშინ ღრმად მჯეროდა, რომ გამოუვალი სიტუაცია გადავარჩინე.

სტუდენტობის დროს, რადგან ყოველი ჩემი სცენაზე გამოსვლა ნოდარ დუმბაძის სახელთან იყო დაკავშირებული (ერთხელ მონოლოგად მისი იუმორისტული მოთხოვა, „ქელებიც“ კი წავიკითხე), ინსტიტუტში „დუმბაძისტი“ „შემარქევს და როდესაც, ლითოფინის კულტურის სახლში ბატონი ნოდარის ახალი ნაწარმოების „კუკარაჩას“ განხილვა მოეწყო, სტუდენტობის სახელით სიტყვის სათქმელად, სწორედ მე გამგზავნეს. ჩემს წინ გამომსვლელებმა, იმდენ რამეც ისაუბრეს, რომ მე ჩემი ნაწვლები და დამენათევი სიტყვა გვერდზე გადავდე და კუკარაჩას სიკვდილის სცენა წავიკითხე მხატვრულად. სხვათაშორის, ყველაზე დიდი ოვაციებიც დაგიმსახურე.

ამავე პერიოდში გავიგე, რომ ბატონი გაფა ოურეშინებული აუალიბებდა ახალგაზრდულ თეატრს და ისიც დუმბაძეს დაგამდა. ამჯერად უკვე „ნუ გვშინია დედა“-ში ვითამაშე დადუნას მეგობრის როლი. რეპეტიციები ახლანდელი ხარების ეკლესიის შენობაში ტარდებოდა, მაშინ ეს არავის უკვირდა. მასშივრს, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, სანდომიანი გარებნობის, თხელმა, ჭადარა მოხუცმა შემოაღო კარი, თაგაზიანად მოიბოდიშა, საკლებიო ორბას მიუკვდა და ააუღერა საოცარი მელოდია. ეს იყო დაუვიწევარი ხმოვანება და ჰარმონია. დღესაც თითქოს მესმის იმუსიკა და არაჩვეულებრივი შესრულება...

მოზარდმაყურებელთა თეატრთან და დუმბაძესთან ურთიერთობა არც პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამიწვევტია, სწორედ ამ პერიოდში ვმუშაობდი ბეჟანას როლზე „მე ვედავ მზე“-ში. სამწუხაროდ, სამხედრო სამსახურში გამიწვიეს და ამ საოცენებო როლის თამაში ვეღარ მოვახდები, თუმცა ბედმა ბოლომდე არ გამწირა და ჯარიდან ირდღიანი მივლინებით ჩამოსული, სწორედ ამ სბექტაკლის ჩენებას დაგვემთხვი. რა გამარებებდა მაყურებლის როლში?! რაღა თქმა უნდა, სცენაზე აღმოჩნდი და ერთხელ, მაგრამ მაინც ვთამაშე ბეჟანა.

საინტერესო და ბევრის მომცველი იყო სკოლებთან ურთიერთობა. სტუდენტობიდან მოყოლებული აქტიურად ვიყავი ჩართული ჩვენი ქალაქის შემოქმედებით ცხოვრებაში და თითქმის ყველგან ვცდილობდი, თუკი ამის საშუალება მომეცემოდა, ნოდარ დუმბაძე ამემეტყველებინა სცენაზე. ასე გა-

ცოცხლდა ჭოკონდა მასწავლებლის სახე მოთხოვიდან, „ნუ გააღიძებ“, სცენური ცხოვრება დაიწყეს იუმორისტულმა მოთხოვობებმა, „გენერალური რეპეტიცია“, „ზუსტად რვა საათზე“, „თქვენც სუ და ჩვენც სუ“, „რას გვეკითხება ამოცანა“ და ა.შ.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მასშივრს, 1988 წელს ნ. დუმბაძის ოთხტომეტულის პირველი ტომის პრეზენტაციაზე, „მზიანი გული“ ადამიანების გულს დავუახლოვე. კაფე-სადამოს სტილში გადაწყვეტილი პრეზენტაცია, საოცრად შთამბეჭდავი გამოვიდა.

დრო მიდიოდა, მე კი ბატონი ნოდარის გმირების გარეშე ცხოვრება არ შემეძლო, ათასქერ წაკითხულს, ათასმეტროედ ვკითხულობდი და ყოველთვის ცრემლი და სიცილი ერთმანეთს ენაცვლებოდა.

როცა საახალწლო ღონისძიებაზე, მეკვლეს ლოცვად ნოდარ დუმბაძის მოთხოვობიდან „მამულის უკვდავება ვინატროთ“, „ნაწვეტი გამოვიყენე, ბევრმა მთხოვა, ის არაჩვეულებრივი ტექსტი დაგვიწერე და ჩვენც მაგ სიტვებით დავილოცებით ახალი წლის დამესრო.

ნელ-ნელა იკვეთებოდა ჩემში რეჟისორის პროფესია და სულ უფრო ხშირად მიგმართავდი დუმბაძეს. გადავწევიტე „რუდდულვწე“ -ის ინსცენირება გამეცეფებინა. მოთხოვობის სუუტებში „ბოშები“ და აფხაზებთის თემაზე დაწერილი წერილი „გული“ ჩაგვი და მშვენიერი მასალა მივიღე...

როდესაც გადავწევიტე, რომ რეჟისორა ჩემს ძირითად პროფესიად მეტია, ბედმა გამიღიმა და დიდი მაესტროს, მიხეილ თუმანიშვილის კლასში ჩავირიცხე. სწორედ მან შემოგვთავაზა მეორე კურსის სტუდენტებს, მასშიობის სტატობის გამოცდაზე ნაწვეტი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“. მე ილარიონის როლს ვთამაშობდი, ილიკო კი ჩემი თანაკურსელი და მეგობარი, დღეს ქუთასის თეატრის მმართველი, გიორგი სინარულიძე იყო. ალბათ, იმ დღეების ხიბლმა და ნოდარ დუმბაძის საოცარმა სიყვარულმა გადაგვაწვეტინა ორივეს, დღეს „დიდროს“ ერთობლივად დადგმა. გიორგიც ჩემსავით „დუმბაძისტია“ და მე ეს ძალიან მახარებს.

განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ერთი ულამაზესი შეხვედრა დუმბაძის შემოქმედებასთან, რომელიც უკვე ქუთასში ჩემი დაბრუნების შემდეგ მოხდა. მაშინდელი კლასიკური გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ბელა ბექაიას შემოთავაზებით დიდი მწერლის ⇨



ც მონატრების საღამო გავაკე-
თეთ. ნოდარი დუმბაძეს აქვს
ერთი პატარა მოთხოვბა, რომელ-
საც სწორედ „მონატრება“ ჰქვია და
მთელს საღამოს ეს გრძნობა გას-
დევდა ლაიტმოტივად.

ბატონი ნოდარი გვენატრებოდა
შევლას, მაყურებელსაც და მისი
ნაწარმოებების გმირებაც. პირვე-
ლი სკოლის იმ არაჩვეულებრივ
საღამოს დუმბაძის ოჯახის წევრე-
ბიც ესწრებოდნენ და საოცრად
ალამაზებდნენ იქაურობას. კური-
ოზის გარეშე არც იმ საღამოს ჩა-
უვლია, ლონისძიებას ცისარტყე-
ლას ფერებით ვიწყებდით, მოცეკ-



ლუქსემბურგის ჩემს კულტურული მეცნიერება

ვავე ცისარტყელა, რომელიც ავტორის გარშემო
ტრიალებდა, უცხოპლანეტელ, პატარა გოგონად
იქცეოდა. დიალოგი ავტორსა და გოგონას შორის
ასე მთავრდებოდა: — ის, ვინც ძალიან გენატრება,
ინატრე და შენთან გაჩნდება, ოღონდ მანამდე შენ
უნდა იქცე ფერად და ნატვრად!

მარადიული ფერების პლანეტაში გადასახლებული
იპოტი, ცისარტყელად იქცა და ლონისძიების
მეორე დღეს, როცა დუმბაძის ოჯახს დედაქალაქში
ვაცილებდით, წმინდა გიორგის ეკლესიის მხრიდან
ულამაზესი ფერადი ცისარტყელა ამოიმართა, ზე-
ცას გადაევლო და ბაგრატის ტაძრის გუმბათს და-
აყრდნო ფეხი. ცველანი გაონებულები შეცცერო-
დით ამ ადრიან დილით, უდროო დროს ამობრკია-
ლებულ ცისარტყელს და გიკვირდა, ნუთუ მარ-
თლა არსებობდა მარადიული ფერების პლანეტა და
იქცდან განივთებული დიდი ნოდარი — საღამს გად-
ლევდა. მონატრების საღამო ცისარტყელით დაი-
წყო და მეორე დღეს ცისარტყელითვე დასრულდა.
ალბათ, სწორედ ეს არის სულის უკვდავება.

მე ზემოთაც აღვნიშნე, რომ ნ. დუმბაძის შემოქ-
მედებასთან ყოველი შეხვედრა ჩემთვის დიდი დღე-
სასწაული და დიდი სიამოვნებაა-თქმ. ათასერ
ასმაგდება ეს გრძნობა დღეს იმიტომ, რომ ჩემს მე-
გობართან, ბატონ გიორგისთან ერთად გმუშაობ
სპექტაკლზე. ინსცენირება მხოლოდ ერთ მოთხოვ-

ბას „დიდროს“ არ მოიცავს, მასში რამდენიმე ნა-
წარმოებია გაერთიანებული. „ხაზარულა“, „მზე“,
„ძალია“, „უმადური“, „მონატრება“, „ჩიტი“,
„თემურ ლენგი“ — აი, აშ მოთხოვბის გმირები
იტრიალებენ დიდროს გარშემო... ზოგიერთი მთ-
განი თოვინების სახითაც იქნება წარმოდგენილნი.

მცირე სცენას ექსპერიმენტები დაებედა და არც
ეს სპექტაკლი იქნება გამონაკლისი. ვფიქრობ, ჩე-
მი და ბატონი გიორგის შემოქმედებითი ტანდემი
შედგა. შედგა სპექტაკლიც, დანარჩენს მაყურებე-
ლი შეაფასებს.

მე კი, ისევ ნოდარ დუმბაძეს მივუბრუნდები და
მინდა ჩემი წერილი მისი სიტყვებით დავასრულო,
რომელსაც ხშირად, ძალიან ხშირად, ხან ხმამა-
ლა, ხან ჩურჩული, ხანც ფიქრებში სიამაყით ვი-
მეორებ: „ადამიანის სული გაცილებით უფრო
მძიმეა, ვიღრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ
ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია,
ამიტომ, ვიღრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს
ხელი უნდა შეგვშეველოთ და ვეცადოთ, რო-
გორმე უკვდავებოთ ერთმანეთის სული: თქვენ
ჩემი, მე სხვისი, სხვებ სხვისი და ასე დაუსა-
ბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების
შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ
დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“...

თორნიდე მარჯანიშვილი



გამსახურდაში იმდონი
სიბრძნეა, იმდონი დაღები-
თი გმირია, ყველა წაკი-
თხეისას, რაღაც სათავი-
სოს ყოველთვის ხელახლა
აღმოაჩენს ხოლმე... თანაც
ძალიან ენატრება აღმაშე-
ნებლის დრონდღელი სა-
ქრონელი. რაც უეხება
ნორაზე ლუმბაბეს, უშუა-
ლო, ალალო, თბილი ავტო-
რი, უბრალოდ ძალიან
უყვარს და ენატრება. პირ-
ებლად „შე, ბებია, ილიკო
და ილარიონი“ წაკითხა
და თურქებ, ძირშიაც ქი
იცინორა, იმ პირველი ემო-
ციის გამო.

—ბატონი ნოდარი იყო
ადამიანი, რომელსაც სი-
შეულებით არ შევძლო ალბათ,
თორებ, როგორ შეძლება მისი
კვებითი პერსონალი გვცილდეს? და-
დღითიც და უარყოფითაც, „მურ-
ტალო“ ხომ უარყოფითი პერსო-
ნაჟია, მაგრამ ისიც გვცილდება
დუშმაბის „ხათრით“. —გვცილება მთა-
ვარი როლის შემსრულებელი და
ამჯერად, მთავარ სათქმელზე გა-
დადის: —ჩამდენიმე მოთხორობისგან
ჭირისული საქმეტაზე ისევ გადა-
წყვეტილი ინსცენირების აგტრი-
რის, ბატონი თორნისე მარჯნის-
გილის მიერ, რომ ხედგი, დღა-
რო, კარგი გაგებით, თითოეულ
ჩეინთაგამზია. თითოეულ აღამიან-
შია ისეთივე სუფთა საწყასი,
როგორიც დიდორშია. ყველას შე-
უძლია ესაუბროს საკუთარ თავს,
ხეს, ჩიტს... არა ხმამალია, არა-
მედ წარმოსახვით და მათი სატ-
კივარიც გაისიგრძებოს. დიდორ
და ბევერა ფაქტორიზეად გაიგა-
ვებულია საქმეტაზში. ორივე გულ-
რიცელი და ჩინიკითი სურთავა,
ისევი, ასე ძალიან რომ გვენა-
რება 21-ე საუკუნეში აღამიანგბა.
საქმაოდ რთულია ითამაშო გა-
ში. დიდორ გიში არ არის,

٦٣٠٢٩٦٠



— მე მინდა ყველაფუ-
რი დამილაგდეს თავზი...
ყველა ფერი დალაგდეს
მთელს ლუნიაზე და ყვე-
ლაფერი დადგეს თავის
ადგილზე.

ლიდროსაც, ბატონი ხო-
დარივით, ყველა და ყვე-
ლაფერი უყვარს.

საოცარია? ალბათ არა...

შეიძლებოდა ბატონი ნო-
დარი ღლესაც ცოცხალი
ყოფილიყო, თუკი ესლოგ-
ნური გულის აპერაციას
გამოიყენდა. მაგრამ?! არ
ისურება სელოგნური გუ-
ლით ცემერება ამ ბუტ-
ბერაზმა პირვენებაზ და
ნამდვილად დასანაია, რომ
ათასი დაუშასეურებელი
ტკივილით, დარდით,
წეროლისანთ გაწვრილობული
გულის სიმი ძალიან ადრი-
ანად ჩატარდა, დალუმდა,
გაქერდა.

დიდი მაღლობა მნიდა
უკუჩხა ბატონებს თორ-
ნიერსა და გიორგის, რომ
მომცეს საშეალება ჩემი
უსაყვარლესი მწერლის ლა-
ტერატურული გირის სცე-
ნური სახე შეემზენა. მსა-
ის უმეტესობა შექმნის
ასის შესრულებაზე ოცნე-
ზედმეტობაში თუ არ ჩა-
მდეგოთ, გერცვით, რომ დიდ-
ებთვის მართლაც საოცნებო
ა, რომელიც უკვე შემიყ-

შეიძლება მაყურებელსაც
უკვეგარდეს დღიური. ალბათ
ამინჯერეთ, მაგრამ, როცა
ს სიკვდილის სცენას ვთა-
მართლა ვტირი. დღიურის
და უველავზისადმი სიყ-
ი აღმართ, ჩემშიცაა, რო-
ც კველა ადამიანში.
კვალცება, სივარული უწდა
ამანანის სხვენას, რომელის
ლეროდ კეთილება სპექტაკლი.
ცი ჩემი უსაყვარლესი მწე-
ლიდებული პირონება ნო-
დუმბაძე. ბევრი საცურნე
აღმართ და ნოდარსნარი
ლი არარ დაიბარება.

არულის, აღამიანობის ეტა-
ბატონი ნოდარი და შე-
დღესაც ცოცხალივით მიყ-

ჩაიტვრთა ნანა შავაიამ



მცირე სცენა შატარა სამეგაროა დიდი მუსტით, სადაც ოდნავი შეცდომაც თუ გაგებარა, ჩათვალე რომ შენი სიკალბე მომენტალურად დაფიქსირდა და მაურებლის თვალში არტისტი აღარ ხარ.

— ეს გიგა მიქამეა, რომელსაც „დიდროში“ ერთ-ერთი სახასუნისმგებლო მისიის შესრულება მოუწევს. იგი, უველავათვის საუკარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის სცენურ შერსონაჟს ქმნის. მასაც, როგორც უველა მესნიშვილის, უველარს მცირე სცენა, იქაური დადებითი აურა და იანერიდან მოუღებული დაწევდე, ამ სცენაზე გამართული სამი წარმატებული სხექტაკლი. ამიტომაც, შახებისმგებლობასთან ერთად, სცენაზე შირველად გასვლის წინ, ემოციაც გაორმაგებული აქვს.

ნოდარ დუმბაძის შერსონაჟის განსახიერება კიდევ უფრო ართულებს მსახიობის მდგრძალებას, რამეთუ იმ ადამიანის ცხოვრების თამაში, რომელიც მართლა გულწრფელად უველარდა მთელ საქართველოს, დიდ შასუსისმგებლობასთან ერთად, დიდი ემოცია და შატიფიცაა. ბუნებით შატიფმოუკარე ნამდვილად არ არის, რეალორებმა ბატონ ნოდარს მიამსგავსეს, მის მსახიობურ შესაძლებლობებს ენდვენენ და გიგაც შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყლენას დღილობს, გამოუდის კიდეც.

აკადემიანი, თომიზოვანი



ცაგერითხა გამილოვაზა

— ნოდარ დუმბაძე ჩემთვისაც უსაუკარელები მწერალია. ეს გახლავთ ადამიანი, რომელმაც ბავშვობა გამილამაზა და მისეულ სამეგაროში გადამიეგანა. მასწავლა რა არის სიკეთე, კეთილშობილება, ერთგულება, სიუკარელი. იმდენად ჰუმანური შირვნება გახლდათ, რომ მის შემოქმედებაში, ბოლომდე უარეოფითი შერსონაჟი ფაქტობრივად არ არსებობს. მისი ცრემლნარევი იუმორი, ჩვენი ცხოვრების ცალკეული შასაუბივითაა, ახლობელი, მშობლიური, ჩვენეული... უცდილობილობების გადმოვცე მისი სამეგარო, რომენად გამომივა, ამას მაურებული შეაფასებს.

— სტექტაკლში ნოდარი მდერის თუ გიგა?


— უნდა იმდეროს ნოდარმა, ასრულებს გიგა. შესრულების სარისხეს მაურებული იმსჯელებს, ჩვენ, ნამდვილად მოგვწონს.

ნანა ქაჯაია

რამდენიმე დღეც და ლადო მეხსიშილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი „დიდროს“ პრემიერით სეზონს დასურავს. მაურებულის დუმბაძისეული იუმორით შეზებული სევდით დაგემშვიდობებით სეზონის გახსნამდე და დიდროსელ ნატერას გავატანთ საგზლად:

გიუგარდეთ უველა ფერი!

დიან, უველაფერი...



11 ივნისი

ქალიან მიხარია, რომ დუმბაძესთან, როგორც დრამატურგთან კვლავ მომიწია შეხვედა. პირველად იურა კაკულიას დადგმაში, „ნუ გეშინია, დედა“ - ვითამაშე ახალგაზრდა პრანჭია ქალიშვილის - ნელის სახასიათო როლი, რომლის დაბადების დღეზე მოდიოდა სტუმრად ჯაყო.

დუმბაძე ყველას საყვარელი მწერალია. მისი გმირები ძალზე ახლობელია თითოეული ჩვენთაგანისთვის. ყველა დროისათვის თანამედროვე იყო, არის და იქნება მომავალშიც. სიცილ-ტირილით შეზავებული იუმორით თქმული ადამიანური სიტყვა, ყოველთვის საჭირო იქნება საზოგადოებისთვის.

ჩემთვის ბებიის როლი პირველია სცენაზე და ვფიქრობ, იგი განსხვავებული სახე იქნება ჩემს მიერ ნათამაშები სხვა



... გურიით გროვაზ,
ჩემთ ცეკვას.
გამორისებით უკირავბა.
ზორი ური ნორ. ცეკვას.
შენი იულია ბებია

ეს ლექსი ექსპრომტად უძღვნა ქალბატონში ნესტანში სპექტაკლში თავის შვილიშვილს გოგიტას, იგივე სულხან მარჯანიშვილს.

როლებიდან. ბედნიერებაა ბატონებთან გიორგისთან და თორნიკეს-თან მუშაობა, როგორც ახლობელი იქნებან შემოქმედებთან. იოლად მყარდება კონტაქტი, მუშაობაც იოლდება და ძალიან სასიამოვნოა. ისინი ერთნაირი ყურადღებითა და მონდომებით მუშაობენ როგორც ჩემს, ისე სხვა

სახეთა სრულყოფილად ჩამოყალიბებაზე, რათა თითოეული სცენური სახე ახლობელი იქნეს მანიქიერ შემოქმედებთან. კარგად მიიღებს მაყურებლისთვის.

იმედია, სპექტაკლს კარგად მიიღებს მაყურებელი და ჩვენს მიერ ნათამაშებ გმირებსაც გულით შეიყვარებს.

ნესტან კვეიძე



ერთოვანი კონფერენცია ორი ნიჭის

ტალურადვე გრწმუნდებით.

რეჟისორ გიორგი სიხარულიძესთან უკვე მეორედ მუშაობს. პარეგელად იყო დიდი სცენის მართლაც დიდი სპექტაკლი, შალვა დადიანის სიხარულიძის სცენიზმით.

„გე... სინამდვილეში კი, როგორც

„გუშინდელნიში“ ყველა მონაწილე

და მაყურებელი აღიარებს, საექ-

ტული ფინტასტიური გამოვდა,

ისეთი, როგორსაც ვერც ერთი

მსახიობი ვერ წარმოიდგენდა.

— ყველაფერი ღრმას მოაქვს და ახალგაზრდულ, განსხვავებულ აზროვნებას.—გვისნის ქალბრონი ნანი და აგრძელებს:—მსახიობებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს ორივე რეჟისორს, ამიტომაც გვითქლდება მათთან მუშაობა. ერთმანეთთან შევერებულად მუშაობენ და ჩვენი სამუშაოც ძალიან საინტერესოა. ბატონმა გიორგიმ ჩემი და ნინოს თთქმის ჩემულებრივი სცენა, მიღებად მეტყველი გახდა, რომ ფაქტურულად ამ სცენას მიჰყავს მთელი სპექტაკლი, ისევე როგორც სცენას ცალ-ცალკე და საბოლოოდ ერთად.

„დიდორო“ სეზონის ბოლო პრემიერა. დარწმუნებული ვარ, წარმატებული გამოგვივა ბატონი ნოდარ დუმბაძის 80 წლისთვის საიუბილეოდ გაკვეთებული სპექტაკლი. მინდა შემთხვევით ვისარგებლი და დავლოცო მთელი თეატრის კოლექტივი. ისევე წარმატებული გვერდების ახალი თეატრალური სეზონი, როგორც გასული. ბატონ გიორგი გვივის კი მინდა უსურებო, არავინ და არაფრთხო გაუტეხოს გული და დიდხანს იყოს ჩვენთან.

ნანა ქაჯაია

ნანი მიშაპაში, იგივე ნუერი ქორეოლიანს, უკვე აღარც ახსოეს მერამდენედ ხედება სცენაშე ნოდარ დუმბაძის გმირებს.

„მე, ბებია, იმიკიო და ილარიონ“—ში მასიურ სცენებში მონაწილეობდა, მაგრამ ბატონ გოგი ქავთარაძეს იმდრენად საინტერესოდ ჰქონდა გაფეთებული მთელი სპექტაკლი, რომ ის მასიური სცენები, ბევრ მთავარ როლს სჯობდა თავისი გამოშაბეკლობით, მოქმედების სიზუსტითა და სისხარტით, პასაუებით, პერსონაჟთა მრავალსახეობით. მანამდე იყო „უახრალდეო დასკვნა“ ნუერ ექიმის როლით, ცოტა მოგვიანებით—და, იგივე პიესაში.

გოგი ქავთარაძეს ერთი საოცრად კარგი თვისება პქონდა მუშიობისას. მსახიობს, რაღაც მარცვალს ჩააწოდებდა და მერე აბსოლუტური თავისუფლების საშუალებას აძლევდა, რათა ბოლომდე გამოველინებინათ საყუთარი მსახიობური თავისტობა ჭრ რეპეტიციებზე, შემდეგ კი, უკვე მზა სპექტაკლში. ნანი თვლის, რომ ნათლიისაგან გაღმოედო გორგი სიხარულიძეს ეს თვისება, რომელიც მსახიობს არ ბოჭას, პირიქით, ახალისებს მის ნოვაციას. რა თქმა უნდა, ზედმეტ არასწორ წასნაებს, თუ ლაფსუსებს გზადგზა ჩამოჭრის და ტოვებს საუკეთესოს, მაგრამ ამას ისე შეუმინევლად უკეთებს, მისი გადაწყვეტილების სიზუსტეში მოქმედი, დუმბაძის სული ტალღა-

ცა... სინამდვილეში კი, როგორც

„გუშინდელნიში“ ყველა მონაწილე

და მაყურებელი აღიარებს, საექ-

ტული ფინტასტიური გამოვდა,

ისეთი, როგორსაც ვერც ერთი

მსახიობი ვერ წარმოიდგენდა.

— ყველაფერი ღრმას მოაქვს და ახალგაზრდულ, განსხვავებულ აზროვნებას.—გვისნის ქალბრონი ნანი და აგრძელებს:—მსახიობებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს ორივე რეჟისორს, ამიტომაც გვითქლდება მათთან მუშაობა. ერთმანეთთან შევერებულად მუშაობენ და ჩვენი სამუშაოც ძალიან საინტერესოა. ბატონმა გიორგიმ ჩემი და ნინოს თთქმის ჩემულებრივი სცენა, მიღებად მეტყველი გახდა, რომ ფაქტურულად ამ სცენას მიჰყავს მთელი სპექტაკლი, ისევე როგორც სცენას ცალ-ცალკე და

საბოლოოდ ერთად.

„დიდორო“ სეზონის ბოლო პრემიერა. დარწმუნებული ვარ, წარმატებული გამოგვივა ბატონი ნოდარ დუმბაძის 80 წლისთვის საიუბი-

ლეოდ გაკვეთებული სპექტაკლი.

მინდა შემთხვევით ვისარგებლი და დავლოცო მთელი თეატრის კოლექტივი.

ისევე წარმატებული გვერდების ახალი თეატრალური სეზონი, როგორც გასული.

ბატონ გიორგის კი მინდა უსურებო, არავინ და არაფრთხო გაუტეხოს გული და დიდხანს იყოს ჩვენთან.

ნანა ქაჯაია

სინამდვილეში კი, როგორც

„გუშინდელნიში“ ყველა მონაწილე

და მაყურებელი აღიარებს, საექ-

ტული ფინტასტიური გამოვდა,

ისეთი, როგორსაც ვერც ერთი

მსახიობი ვერ წარმოიდგენდა.

— ყველაფერი ღრმას მოაქვს და ახალგაზრდულ, განსხვავებულ აზროვნებას.—გვისნის ქალბრონი ნანი და აგრძელებს:—მსახიობებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს ორივე რეჟისორს, ამიტომაც გვითქლდება მათთან მუშაობა. ერთმანეთთან შევერებულად მუშაობენ და ჩვენი სამუშაოც ძალიან საინტერესოა. ბატონმა გიორგიმ ჩემი და ნინოს თთქმის ჩემულებრივი სცენა, მიღებად მეტყველი გახდა, რომ ფაქტურულად ამ სცენას მიჰყავს მთელი სპექტაკლი, ისევე როგორც სცენას ცალ-ცალკე და

საბოლოოდ ერთად.

„დიდორო“ სეზონის ბოლო პრემიერა. დარწმუნებული ვარ, წარმატებული გამოგვივა ბატონი ნოდარ დუმბაძის 80 წლისთვის საიუბი-

ლეოდ გაკვეთებული სპექტაკ-

ლი. მინდა შემთხვევით ვისარგებლი და დავლოცო მთელი თეატრის კოლექტივი.

ისევე წარმატებული გვერდების ახალი თეატრალური სეზონი, როგორც გასული.

ბატონ გიორგის კი მინდა უსურებო, არავინ და არაფრთხო გაუტეხოს გული და დიდხანს იყოს ჩვენთან.

ნანა ქაჯაია

სინამდვილეში კი, როგორც

„გუშინდელნიში“ ყველა მონაწილე

და მაყურებელი აღიარებს, საექ-

ტული ფინტასტიური გამოვდა,

ისეთი, როგორსაც ვერც ერთი

მსახიობი ვერ წარმოიდგენდა.

P.S. ერთად ყოფნა დი-დი ნიჭია, ბატონი გიორგის

გასული გვერდი ბატონი ნიჭია.

სიყვარული გაგვირავლება

ბოდეს!



ძეგლი უმარტივი პოლიტიკის მცნება?!

გადინი ვარ. რომ კი-
ლევ ერთ თეატრალურ სე-
ზონს ვხურავთ მესხიშვილე-
ლები!

ბელნიერი ვარ, რომ ნო-
დარ ღუმბაძის „დიდრო“-ს
პრემიერას ვითამაშებთ სე-
ზონის ბოლო სპექტაკლად
და ამ სპექტაკლში მეც ვთა-
მშობ!

გადინი ვარ. რომ მცა-
რე სცენაზე უკვე მეორედ
მიწვევს მუშაობა!

ბელნიერი ვარ, რომ „დიდ-
რო“-ში ერთად ვითამაშებთ
მე და ჩემი განუყრელი მე-
გობარი ნანი მიქაძე!

გადინი ვარ. რომ თე-
ატრში ჩემი 37 წლის მოლ-
გაწეობის განმავლობაში,
ოთხერ ვითამაშე ღუმბაძისე-
ული პერსონაჟები. პირვე-
ლად სადიპლომო სპექტა-
კლში „ნუ გეშინია დედა“,
სულ ბოლოს კი ნუკას
განვასახიერებ „დიდრო“-ში.

ბელნიერება სულაც არ არის
პრობითი ტრნება. თუკი გულ-
წრფელად გიყვარს შენი პრო-
ფესია (სიყვარულის გარეშე
კი, ნამდვილად ვერ იქნები
არტისტი), ღუმბაძესთან თი-
თოეული შეხვედრა მართლა
ბელნიერება, მისი ყველა ნა-
წარმოები ისეა ჩახუჭუჭებუ-
ლი, როგორც გულულების
კრიმანჭული, მათი სიმღერე-
ბი.

მცირე სცენაზე მეორედ ვმუ-

შაობ, ასე რომ, მე სცენის
დადებითი აურა უკვე გათა-
ვისებული მაქვს. იოლია ჩემ-
თვის ბატონებთან — გი-
ორგისთან და თორნიკესთან
მუშაობაც. მერწმუნეთ, მსახი-
ობისთვის დიდი სტიმულია,
როცა გხიარია თეატრში მის-
ვლა. ჩენი ბედი ხომ რეჟი-
სორზე, მის შეხელულებებზე,
თვალთხევაზე დამჯიდებული.
მთავარია მან შეამნიოს შენზი
სასურველი სცენური სახე
და მერე შენ, მისი ხელ-
მძღვანელობით ცდილობ ბო-
ლომდე დახარჯო, შენზე გა-
კეთებული არჩევანი არ გა-
უმტყუნო. ისე გასაგებ ენაზე
გველაპარაგება ორივე რეჟი-
სორი, ისეთ მოქმედებას გვაძ-
ლევენ, რომ არ შეიძლება
არ აჰყვე, არ დაუკერო, არ
შეასრულო მათი მოთხოვნა.

არაჩვეულებრივი ხედვა აქვს
ბატონ გიორგის, 20-30 წლით
წინ უსწრებს ხოლმე მოვ-
ლენებს და ეს რომ ასეა,
ამის თვალსაჩინო მაგალითია
სპექტაკლი „გუშინდელნი?“
მერწმუნეთ, მართლა ბელ-
ნიერებაა ღუმბაძის სცენური
სახის შექმნა. მისი იუმორი
ისევე უშუალოა, როგორც
ტკივილი. ამიტომაც, რეპე-
ტიციებისას, სადაც სასაკი-
ლოა, მართლა გულწრფე-
ლად ვიცინთ, ხოლო სადაც
სატირალია, მართლა გულ-
წრფელად ვტირით.



დიდებულია ბოლო სცენა,
დიდროს სულის სხეულიდან
გათავისუფლების ეპიზოდი.
დიდროს ნატერა, რომელიც
თითოეული საღად მოაზროვ-
ნე ადამიანის ნატერაა, მისი
სიყვარულის ნიჭი და თავი-
სუფლების უნარი. შემთხვე-
ვით არ აღაპარავებს ღუმბა-
ძე, მთლად საღად ვერ მო-
აზროვნე დიდროს იმ სიმარ-
თლეს, რომლისაც ადამიანებს
ეშინიათ. რამეთუ „გიური ბელ-
ნიერი და თავისუფლებია“,
ხოლო თავისუფლებია ამსო-
ლუტური სიმართლე.

სიმართლეა ისიც, რომ ნნო
ეჯიბიაც და ნანი მიქაძეც
ამსოლუტურად გულწრფელები
არიან, როგორც პიროვნებე-
ბი და როგორც მსახიობები.
დიდი მონდომებით მუშაობენ
თავიათ როლებზე და მო-
უთმენლად ელოდებინ პრე-
მიერის დღეს დარწმუნებულინი
არიან, ამჯერადც წარმატე-
ბული იქნება მცირე სცენა-
ზე, რიგით მეოთხე პრემიე-
რა.

ნანა მაჯაბა



რას ნატრობს დიდრო?!..

ცოდარ დუშბაძის ნაწარ-მოქების მიხედვით შექმნილი პიესის „ვერვისგან ანა-წონები“, ინსცენირების ავტორი, ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თე-ატრის მსახიობი ვაჟა ოყრე-შიძე გახლდათ. პიესა-ში დუშბაძის ხუთივე რომანი იყო გაერთი-ანებული-„მე ვხედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „საბრალდებო დასკვნა“, „მზიანი ღა-მე“ და „მარადისობის კანონი“. სპექტაკლმა, სადაც მსახიობი ნო-დარს თამაშობდა, წარ-მატებული სამი სეზონი დაჰყო მესხიშვი-ლელთა სცენაზე. ამჯე-რად ვაჟა ოყრეშიძე თორნიკე მარჯანიშვი-ლის ინსცენირებით გა-კეთებულ სპექტაკლში „დიდრო“ ბენედიქტეს როლს ასრულებს და კიდევ ერთხელ იცხოვრებს დუშბაძისეული გმირის ცხოვრებით, ამჯერად მცი-რე სცენაზე.

რეჟისორმა თორნიკე მარ-ჯანიშვილმა ნოდარ დუშ-ბაძის ცხრა მოთხრობის მი-სედვით შექმნა პიესა, სა-დაც მთავარი მომქმედი გმირი დიდროა და ბუნებ-რივია, დიდროს ირგვლი-

ვაა გაერთიანებული მო-თხრობების „დიდრო“, „ხა-ზარულა“, „მონატრება“, „მზე“, „თემურ ლენგი“, „ჩიტი“, „ძაღლი“, „უმაღუ-რი“, რომანის „მე ვხედავ მზეს“ გმირები.

ნოდარის თვალით დანა-სულ ცხოვრებას შესთავა-ზებს ამჯერად მაყურებელს თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი, სადაც ძირითადად, დიდროს ნატერის ახდენას ემსახურება ყველა პერსო-ნაჟი, მათ შორის თა-ვად ბენედიქტეც.


რას ნატრობს დიდ-რო?!

-ღმერთო, ყველაფე-რი თავის ადგილას და-ალაგე, დაამშვიდე, და-აწყნარე... ეს დიდროს სათავისო ნატერა რო-დია?! დუშბაძე ხომ, დიდროს პირით, მთელ სამყაროს ალაპარაკებს.

ვაჟა ოყრეშიძისთვის ნოდარ დუშბაძე ისე-თივე ახლობელი და ძვირფასია, როგორც თითოეული ქართვე-ლისთვის, ამიტომაც, დიდი სიამოვნებაა მსა-ხიობისთვის დუშბაძის,

თუნდაც ეპიზოდური სახის შექმნა სცენაზე, მით უმე-ტეს მაშინ, როცა მცირე სცენაზე პირველად უწევს თამაში და კიდევ, როცა რე-ჟისორები თეატრის მმარ-თველი გიორგი სიხარული-ძე და თორნიკე მარჯანიშ-ვილი არიან.

ნანა ქაჯიანა



ვაჟა ოყრეშიძე პირველად თამაშობს მცირე სცენაზე და თვლის, რომ რთული არ იქნება ამ სცენაზე თა-მაში. თუმცა, მაინც ღელავს, რადგანაც მცირე სცენაზე აქამდე გამართულმა სამი-ვე პიესამ სრული ანშლა-გით ჩაიარა და ისინი უკვე გულწრფელად შეიყვარა მა-კურებელმა.

ბოჩა ნიკოლაძე ოუბილარია, 22 ივლისს 55 წლის ხდება და დაბადების დღეს საცუთარ თაგს, გიორგი სისარულიძისა და თორნიკე მარჯანიშვილის რეჟისორობით გაქვთებული სპექტაკლის „დიდორი“ პრემიერით მიუღოცავს.

გოჩა სპექტაკლში ეპიზოდურ, მაგრამ გამორჩეულ როლს ანსახიერებს. „ბადრიე ლექტორი“ თბილისიდან, თანასოფლებლების „გასანათლებლად“ ჩამოსული სტუმარია.

— ლადივოს ბიჭი, ბადრიე კალანდაძე, ამ სოფელში დაბადებული და გზრდილი კაცია, გასანათლებლად დედაქალაქში გოუშვეს და ახლა ზრდილობაზე და ეთიკზე უკითხავს თანასოფლებლებს ლექციას. — ენაგვიმატობს ნიკოლაძე და არ მიკვირს, ფაქტია, პარალელურ რეჟიმში სატირისა და იუმორის თეატრში მომუშავე არტისტს, სხვაგვარად ნამდვილად არ შეუძლია.

გურულებისთვის დამასასიათებელი და დუმბაძეს წყალობით, ფართო საზოგადოებისთვის ნაცნობი იუმორის ტალღაზე გამართული კრების მიზნი, — ბადრიე ლექტორი, იგივე გოჩა ნიკოლაძე, ისე ზუსტად ირგებს კალანდაძის სცენურ ნიღბაბს, სპექტაკ-



მას ნოდარ დუმბაძის შემოქმედების მიხედვით გაკეთებულ თითქმის ყველა სპექტაკლში უთამაშია, რაც კი მესხიშვილელთა სცენაზე დადგმულა. გურულების კრიმანჭულსაც, სწორედ ის „აკგარახჭინებს“ თეატრში ყველაზე სუფთად და ბოლოს, ბუნებით, სულით არტისტია და აბა, რა უნდა გაუჭირდეს?

შცირე სცენაზე პირველად თამაშის და თვლის, რომ ურთულესია მაყურებელთან რამდენიმე ნაბიჯზე თამაში. იმ მაყურებელთან, რომელიც კარგად თუ არ დააფიქსირე, შეიძლება პარტნიორადაც კი ჩათვალით. თუმცა... ერთგვარი აზარტიცა იყო ასე ახლოს მაყურებელთან, ითამაშო სხვისი ცხოვრება და იყო იმდენად ბუნებრივი, რომ საცუთარი თაგი ჯერ შენ მოგეწონოს, შემდეგ კი — დარბაზს.

იუბილარი გოჩა ნიკოლაძე დაბადების დღეს დილით რეპეტიციაზე შეხვდება და პრემიერით დასრულებს საღამოს.

ასეთია ბატონებო, არტისტის ბეღი — იამაში, იამაში და კვლავ, სხვისი ცხოვრების იამაში.

დაბადების დღეს გილოცავი, გვიყვარება.

„მესხიშვილელები“

ა ს ე თ ი ძ , ა ს ე თ ი ძ , ე თ ი ძ, ა ს ე თ ი ძ , ე თ ი ძ , ე თ ი ძ !



ზაზა ნაკაშიძე — „საბრალდებო დასკვნა“, ანატოლი, სოსოიას რუსი — „მე ვხედავ მზეს“, ეპიზოდური როლი „მე, ბებია, იღიყო და იღარიონი“. ესენი, თენგიზ ჭავახაძის მიერ ნოდარ დუმბაძის ზემოთჩამოთვლილ პიესებში განსახიერებული როლებია, რომლებიც ძალიან უყვარს და ენატრება. დუმბაძის უველა ბერსონაჟი ახლობელი ნათესავითაა, თავისი ბუნებით, ფიქრებით, აზროვნებით, ოცნე-

მოესწრება. ნასვამი კაცის თამაში საკმაოდ რთულია, რადგანაც იგი იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს, რომ მაყურებელს ეჭვი არა-ფერში შეებაროს. თეატრალურ ცხოვრებაში ჩაუხედავ ბევრ ადამიანს უთქვას — დალიე თენგოია ერთი-ორი ჭიქა და ისე გადი სცენაზე, უფრო კარგად გამოგივაო! — არ გამოვა არაფრით „გადაკრული“ თამაში.


სულ ერთიას პრინციპით ცხოვრება და თა-

დალი თენგო და გადი სცენაზე

ბებით, დიდი სიყვარულის ნიჭითა და სიკეთის კეთების სურვილით. „დიდროში“ მსახიობი ანანიას თამაშობს. გული არ წყდება, მაგრამ სიამოვნებით განასახიერებდა დიდროსაც, ამის საშუალება რომ მისცემოდა.

მცირე სცენის სპექტაკლში პირველად მონაწილეობს. თვლის, რომ ძალიან კომპაქტური გარემოა მცირე სცენის დარბაზში, მაგრამ ერთ გარემოებაზეც მიანიშნებს: — მცირე სცენა უფრო რთული სცენაა, მსახიობს ზედ „ცხვირწინ“ უზის მაყურებელი, ნებისმიერი „იაღლიში, ფარში“ დაუშვებელია. დიდ სცენაზე შეიძლება სიყალებე შეუმჩნევლად გააბარო და შენს გარდა ვერავინ, ვერაფერს მინვდეს. მცირე სცენაზე კი ხელის გულზე გიზის მაყურებელი და შენი წარბის შეტოკებაც კი ზუსტად ისე აღიქმება, როგორც ამას, იმ წამში გაკეთება.

ანანია ჩვეულებრივი, დუმბაძისეული, პეტიანი გურულია, რომელიც, როგორც უველა ქართველი, ბაზუსთან, ალკოჰოლთან მეგობრობს. ეპიზოდური როლია, მაგრამ საკმაოდ საინტერესო სახეა და თუკი რეჟისორ გიორგი სიხარულიძის არაორდინალურ ორდინალურობას, თორნიკე მარჯანიშვილის „დუმბაძისტობას“ გავითვალისწინებთ, იგი ძალიან მხიარული, ენაკვიმატი, ნალდი გურული უნდა იყოს, რომელიც პიესაში ნასვამი შემოდის და კომედიური სპექტაკლის პირველი ხალისიც, მას შემოაქვს სცენაზე. ჭურის მოხდის სცენაა სპექტაკლში, რომელსაც მთვრალი ანანია შე-



მაში არ უყვარს, თითოეულ ბერსონაჟს, რომელიც სცენაზე განუსახიერებია, განსაკუთრებული მომთხვევლობით, ზედმიწევნით დიდი სიზუსტით ეპყრობა და ამიტომაც, ჭავახაძისეულ ბერსონაჟებს უოველთვის გამორჩეული ხიბლი აქვთ. დარწმუნებული ვარ ამჯერადც ასე იქნება.

ნანა მსჯაის



ჩჩელი, ნერ, ჩჩელი..

საქართველო „დიდორ“ – ში სატირისა და იუმორის თეატრის სამი მსახიობი მონაწილეობს – ნინო ეკებია, გოჩა ნიკოლაძე და გოჩა ნემისიწვერიძე.

12 წლის წინ შეიქმნა დრამატულ თეატრის ბაზაზე სატირისა და იუმორის თეატრი და დრამის მსახიობებმა ძალიან იოლად შეითაქსეს ამ თეატრში მუშაობაც.

იუმორი, მით უმეტეს დუშმაბისეული, იმდენად ახლობელია თითოეული ქართველისთვის, გასაკეირიც არაფერია, სწორედ დუშმაბის შემოქმედება რომ შეარჩიეს თავიანთი პირველი კომედიური სპექტაკლისთვის თეატრის აკალმა მმართველმა გიორგი სიხარულიძემ და რეჟისორმა თორჩიკე მარჯანიშვილმა.

სატირისა და იუმორის თეატრს რამდენჯერმე პქნონდა მცდელობა, ამ თეატრს სცენაზეც დუღებათ დუშმაბის გათანამედროვებული ვერსია, მაგრამ? საბოლოო და გერმანი გრაფიკისთვის თავი შეიკეცებული იუმორის კლასიკისა და იგი დრამატული, დიდი თეატრის სცენას უფრო უხდება. არ შეიძლება შეცვალო თუნდაც ერთ სიტყვა მწერლის შემოქმედებაში, იქ ხომ ყველაფერი მარგალიტის მძივითა ასხმული.

რაც შეეხება მცირე სცენას, ისევე როგორც სპექტაკლში დაკავშირულ მსახიობების აბსოლუტური უმრავლესობა, გოჩა ნემისიწვერიძეც პირველად ითამაშებს მესხიშვილელთა დოდი ძალისხმევით შექმნილ ახალ თეატრალურ სიკ-

რცეში, რომელსაც საბედნიეროდ, თავიდანვე დაებედა წარმატებული პრემიერები და გამორჩეულად დადგინდითი აურა.

გოჩა ნემისიწვერიძე თვლის, რომ რთულია მცირე სცენაზე თმაში. მიაჩნია, რომ დიდ სცენაზე უფრო იოლად შეიძლება შექმნა ამა თუ იმ მოვლენის ილუზია, ვიდრე მცირე სცენაზე თუმცა, მაყურებელთან სისხლივე მისთვის, როგორც სატირისა და იუმორის თეატრის მსახიობისთვის უცხო არ არის. ისეთ სცენაზეც უთამაშია, სადაც მაყურებელი პირდაპირ სცენაზე იჯდა.

– სხვათაშორის ასეთი ფაქტი გურაში, ოზურგეთში შეგვემთხავ. ისე გადაჭიდეს გურულებება ჩვენს



კონცერტზე დაბაზი, რომ სცენაზეც ჩამოგვისუპდნენ და კულისებში გავლის საშუალებაც არ მოგვცეს. ვეხვეწებოლოვანი შეიგვითა, ჩემი გამოსვლის დროა-თქმ. – გამოი ნენა, გამოი... ჩეიგიწარები პარაზიას და გაგატარებ, მაი, აფერი! –

– ისე გემრიელად

მიპასუხა ვიღაც მანდილისანმა, საყვედურს როგორ ვაკადრებდი. პირა, ჩეი-იწია პარა და შემიშვა სცენაზე-მიყვება ნემისიწვერიძე და დუმბაძის სცენანარევ იუმორზე აგრძელებს საუბარს: – იშვიათად მეგულება მსოფლიო მწერლობაში ისეთი მწერალი, რომელიც ასე დოზირებულად აზავებს ერთმანეთში სიცილს და ტირილს. ეს არის ავტორი, რომელსაც შეუძლია ერთ

წუთში ისე გაცინოს, რომ კანი არ შეგარჩინოს მუცელზე, მეორე წუთში კი გულიანად გატიროს. და შეკველუფრი, წიგნის ერთ ფურცელზე კი არა, ერთ გვერდზე დაეტიოს.

საექტაპლში ეპიზოდურ და ამაგრძელოულად მაინც მთავარ როლს თამაშობს. ეპიზოდური როლის მთავარ როლად შექმნის პრეცედენტი უცხო არ გახლავთ გიორგი სიხარულიძისა და თორჩიკე მარჯანიშვილის პირველ ერთობლივ ნამუშევრში, კველა როლი ერთმაშად ეპიზოდურიცა და მთავარიც. მაყურებელი სპექტაკლის დასარულს ნამდილად დადებითად შეაფახებს სიხარულიძე-მარჯანიშვილის

ეთიმე, იგივე ყვაპუტა, სოფლის დალაქია. თავისებური იუმორით.

– სოფლებში ერთ დროს, სწორედ საპარიქმანიოებთან „აბირუგებდნენ“ გურულები და ქეექის, მსოფლიო პოლიტიკასც ადგილზე, კალა-კალ არჩევდნენ... და საერთოდ გურულები პოლიტიკით დატვირთული ხალხია. მისნის ნემისიწვერიძე და ფატის დასამტკიცებლად გურულებზე ანეგდოლსაც იშველიბს.

ორი გურული დაყიდებულია თოკებით მთაზე და ცის კიდეზე ყანას თოხნის, გაწამწიაშია, ერთ ამბავშია ორივე.

– მომეცი ბიჭო პაპიროზი!-თხოვა ერთმა მეორეს. დაუტოვა პირველი გადატებილი „პრიმის სოროკა“. გამიართა დიდის ამზი მეორემ, დარტყება ნაპასი და ეკითხება:

– რაიო ბიჭო, რა თქუა იმ მათხურმა რეიგანგა?

მსახიობური ენის, შევიბრითობის პრინციპი მისთვის, როგორც მსახიობისთვის უცხო არ არის. ძალიან უნდა „დიდრო“ არაფრით ჩამოიყარეს მცირე სცენის წარმატებულ პრემიერებში, ამიტომაც მთელი გულისყრით მუშაბის როლზე, რეჟისორების თოთოეული შენიშვნასა თუ მითოთებას, რომ იტყვიან გაფრენილი ჩიტივით პარეზი იშერს და თავისი მსახიობური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას ცდობს.

ნანა ჩაჯაია



რომელ ყველაზე უფრო განვითარებული

მსახიობი ნიკო ჯანგავაძე დადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შალვა დადაიანის ბიუსთე „გუშინ-დედნი?!“ მოსულმა სახოგადოებამ სპექტაკლის დასრულების შემდეგდა ამოიცნო, იმდენად დამაჯერებლად, შთამბეჭდავად ითამაშა 37 წლის მსახიობმა ღრმად მოცუხებული გენერლის, ბერდოსანის როლი. მაყურბელმა, მსახიობის თხტატობა ყველაზე დადა ჯალდოთი-გულმხურგადვ აბლოდისტენტებითა და ოგაციით შეაფასა. ეს იყო გამარჯვება, რომლის შემქნელად და შემოქმედად თავად მსახიობი, მხოლოდ რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს მიიჩნევს, რომელსაც ბრმად ემორჩილება.

„გუშინ-დედნი?!“, „დადო...“ ამ სპექტაკლებში ნიკო მოგვიანებით დაატკიცეს. ბერდოსანი ბატონ ერემო სვანაძეს უნდა ეთამაშა, ქიმვარდი თავმჯდომარე გიხო კაკაურიძეს. თავად მსახიობი თვლის, რომ ყველაფერი უფლის ნებად და ბერნიერია, გიორგი სიხარულიძესთან და თორნიკე მარჯანიშვილთან მუშაობის საშუალება რომ მისცა უფალმა. მცირე სცენაზე ბირველად



ნეთისაგან გარჩევა გაუჭირდება მაყურებელს.

მცირე სცენის დადებით აურჩევე მიმანიშნებს და „დიდოროს“ წარმატებულ პრემიერას ელოდება. ფრთხილობს, რადგანაც ბუნებითაა ასეთი და ძალიან უნდა, მისი ქიშგარდი თავმჯდომარე მაყურებელთან სიახლოებები არ დააფრთხოს.

მსახიობი ნიკო ჯანგავაძე და რეჟისორის თანაშემწევე მაია კვამსაძე სპექტაკლ „დიდოროს“ თავ-თავიანთ მისიას ასრულებენ. ნიკოს ოჯახში წესისამებრ „მამის“ საათები აქვს, როცა მეუღლე თეატრშია, ბავშვებს ის „გურიორებს“. ამჯერად კი ბალანსი დროუბით დაირღვა, თრივე ერთი-დაიგივე დროსაა თეატრში და თრივე დაგავებულია. როგორც ყველა მესხიშე- დია. როგორც ყველა მესხიშე- გილელისთვის, მათვისაც თუ- ატრი მეორე ოჯახია, პოდა ძირდებიან ბატარია ნიკოლოზი და ანასტასია ჯანგავაძეები მცირე სცენის კულისებში, თან მშობლებს გულშემატკივრობენ... ყველაზე მეტად მათ ეჩქარებათ მრემიერის დღვე.

ნანა ებაზარია

თამაშობს; დიდი ბასუნისმგებლობით ეკიდება როლს, რომელიც მის სასიათში არანაირად არ ჯდება, მაგრამ რეჟისორების „წყალობით“ შეიქმნა ტიპური, ფიცხი, „ძანა მოქმედა“ ქიმვარდი თავმჯდომარის სცენური სახე და იმდენად ბუნებრივია ნიკო—ქიმვარდი, ამჯერად მათი სასიათების ერთმა-

ლია. როგორც ყველა მესხიშე- გილელისთვის, მათვისაც თუ- ატრი მეორე ოჯახია, პოდა ძირდებიან ბატარია ნიკოლოზი და ანასტასია ჯანგავაძეები მცირე სცენის კულისებში, თან მშობლებს გულშემატკივრობენ... ყველაზე მეტად მათ ეჩქარებათ მრემიერის დღვე.



მაღლომას ვუხდით ტეთაისის იაკოშ გოგიმაშვილის
სახელომის თოჯინების სახელმწიფო თავაფრთსა და
სოფელ მათხოვის მკედირს მაცონ ამირან შარტამაძეს
თანამშრომლობისა და თანადგომისთვის. ლადო



მესხიშვილის სახელომის სახელმწიფო ღრამაფული თავაფრთი



აურეზელი ღეკოლაცია

შე მსახიობობაზე არასოდეს მიოცნებია, მიუხედავად იმისა, რომ რაც თავი მახსოვს, სულ თეატრის სახელი მესმის და ჩემს ირგვლივ სულ მსახიობები ტრიალებენ. ხელოვნება ჩემი ცხოვრების დიდ და მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, ხოლო თეატრალური ცხოვრება „აულებელ დეკორაციად“.

საკმაოდ ხშირად მიხდებოდა სცენაზე გამოსვლა სხვადასხვა სასკოლო, თუ საქალაქო ლონისძიებებზე. ერთხელ მესხიშვილის თეატრის სპექტაკლშიც მომიწია პატარა ეპიზოდის თამაში — ბესამეს ბაგშვილა განვახორციელე „ვატერ(პო)ლომ“-ში. მაგრამ, მთავარი როლის თამაშის პატივი, პირველად მსვდა წილად. მომანდეს ერთ-ერთი მთავარი როლი ნოდარ დუმბაძის „დიდროში“, მესხიშვილის თეატრის მცირე სცენაზე.

ნოდარ დუმბაძე ჩემი უსაყვარლესი მწერალია. მახსოვს ბირველად მისი მოთხრობა „სისხლი“ წავიკითხე. ბაბუასა და შვილიშვილის სისხლისმიერი კაგშირის აღმოჩენა ჩემთვის, მაშინ ძალიან დიდი ემოციური მუხტი იყო. „რა თბილია ეს მამაძალი“. — დღემდე უურ-ში ჩამრჩა ბაბუას სიტყვები.

მერე იყო „ძალია“, რომლის წაკითხვის შემდეგ ტირილი ვეღარ შევიკავე. სწორედ მაშინ მივხვდი, თუ რა დიდი ნიჭი და ოსტატობაა საჭირო, ადამიანი როს აატირო, ან გააცინო. ამის შემდეგ უფრო გავააქტიურე ნოდარ დუმბაძის შემოქმედებასთან კაგშირი.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე „ხაზარულას“ წაკითხვამ, რადგან მის წაკითხვამდე, ჩვენს ეზოში ერთი ასეთი ამბავი მოხდა:

ჩვენი სახლის წინ, რამდენიმე წლის წინ, მეზობლის გაცმა აყვავებული მსხლის ხე მოჭრა. ის დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უსაშინლესი დღე იყო. ძალიან დიდხანს ფანჯარასთან არ მივდიოდი, რომ ის ადგილი არ

დამენახა და დღემდეც, თვალს ვერ ვუსწორებ მიწის იმ ნაწილს, სადაც თეორად ვადაპენტილი მსხლის ხე იდგა. ამ ამბის მერე, როცა „ხაზარულა“ წავიკითხე, დიდხანს ვდარდობდი, რომ ჩვენი ქმოს მსხლის ხე, ხაზარულასაგით ლამბაზი არ მოვდა. ახლა სცენაზე ნოდარ დუმბაძის ხაზარულას რომ ვესაუბრები, მეგონა ბასუს ჩემი მსხლის ხე მცემს-თქო და მიხარია... მიხარია, რომ ჩემი ხაზარულა მყავს.

როგორც ბატონი ნოდარი იტყოდა: — მე ერთი უბრალო ბიჭი ვარ, პროფესიად რას ავირჩევ, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ მიუვარსართ ყველანი, მიუვარს თეატრი და ძალიან, ძალიან მიუვარს ჩემი ნოდარ დუმბაძე.

სულხან მარჯანიშვილი





დიდორთ

ნატერა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირი და
შემსრულებელი:

დიდორთ - ზეიად სპანაძე
გოგიაძა - სულხან
მარჯანიშვილი
იულია ბერია - ნინო გველი
ნოდარი - გიგა მიძაბა
ქეთო მამილა - ნანი მიამაძე
ანანია - თემებიძე კავაჩაძე
ნუცა - ნინო მკინიძე
ექვთიმე დალაქი, ყაპუტა -
ბოჩა ნემიზივერიძე
ბერეიქტე - გაეს რორეშიძე
ქიშგარდი თაგმადომარე - ნიკო
ჭავბაგაძე
ბადრი კალანდაძე - ბოჩა
ნიკოლაძე.



სადადგმო ნაწილის გამგე ღემურ კოსტანაშვილი; მსაცგარ-გამნათებელი ხვიჩა ღოღონაძე; გამნათებლის ასისტენტები: გიორგი ახლეიდიანი, გიორგი ბაბარაძე, სმის ოპერატორი ნაირა პირველი, ბუტაფორი ნაირა მიძვაძე; ჩაცმელ-მეგარდიორბე ნაცელი ფეხმალაძე; რეკვიზიტორი ლოლა კუტალაძე; დურგალ-დეკორატორი გულაძე ტემშვილაშვილი; სცენის მთავარი მემანქანე რუბენ დაგითშვილიანი; სცენის მემონტაჟერი: ოლებ ცხადაძე, ზრიდონ ჩხაბერიძე, არჩილ კოსტანაშვილი, ალექსანდრე კოსტანავი, ტარიელ ძაბაძებაშვილი, თენაზი კოპელაძე; მქერავები: მარინა ბაჩეჩილაძე, იზო კორქაძე.



დაფით აღმაშენებლის
მოედანი №1
4-57-47, 4-56-90,
4-88-60, 4-55-43

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ქაჯაიძე,
ელიშვალ გამუპელაშვილი.
ფოტო თორნიქე ტურაბელიძე.

აწყობა-დაკაბადონება: **კის „კუ-2006“**
ქუთაისი, ბუჭინის ქ. №14
დაიბჭედა: **შპს „თამარიონი 2002“**
თბილისი, ნინოშვილის ქ. №8